დანართი №3

ვიდეოჩანაწერის განხორციელების მიზანი, მოცულობა, ხანგრძლივობა, შენახვის ვადა, წვდომის წესები, შენახვის/განადგურების პროცედურა, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმი

შპს "ეი თი იუ ჯორჯია", როგორც აეროპორტებში მოქმედი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ოპერატორი, კომპანიის კუთვნილ ობიექტებში ახორციელებს ვიდეომონიტორინგს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით. ვიდეომონიტორინგი ხორციელდება საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" და სხვა მოქმედი სამართლებრივი აქტების მოთხოვნების დაცვით.

ვიდეომონიტორინგის განხორციელების ძირითადი მიზნებია: საქართველოს მთავრობის # 455 ბრძანებით ნაკისრი სანებართვო პირობის შესრულება და კომპანიის ქონების დაცვა; თანამშრომელთა და მომხმარებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა; შესაძლო სამართალდარღვევების, ქურდობის, დაზიანების ან სხვა ინციდენტების პრევენცია და გამოვლენა; თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში განხორციელებული საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

ვიდეომონიტორინგი ხორციელდება კომპანიის მიერ ოპერირებად თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში და საბაჟო საწყობებში, რომლებიც განთავსებულია:

- თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში;
- ბათუმის ალექსანდრე ქართველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში;
- ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში.

ვიდეოკამერები განთავსებულია სავაჭრო სივრცეებში, სალაროებთან, შესასვლელ-გასასვლელებთან, სასაწყობე და მომსახურების ზონებში.[1]

[1] ვიდეომონიტორინგი არ ხორციელდება ისეთ ადგილებში, სადაც პირის პირადი ცხოვრების დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენს, მათ შორის სველი წერტილებში, გამოსაცვლელ ოთახებში და სხვა მსგავს სივრცეებში.

Public

ვიდეომონიტორინგი მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში. ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №455 დადგენილებით „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, რომლის შესაბამისად თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ოპერატორი ვალდებულია ვიდეოჩანაწერები შეინახოს 6 (ექვსი) თვის განმავლობაში და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს საბაჟო ორგანოს.

ვიდეოჩანაწერები ინახება მხოლოდ აღნიშნული ვადის განმავლობაში, რის შემდეგაც იშლება ავტომატურად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტული ჩანაწერი საჭიროა ინციდენტის, სამართალდარღვევის ან სხვა გარემოების შესასწავლად, რა დროსაც შესაძლებელია მისი შენახვა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის დასრულებამდე.

ვიდეოჩანაწერებზე წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს. ვიდეოჩანაწერები ინახება დაცულ ელექტრონულ სისტემაში, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში განთავსებულ დაცულ სერვერებზე, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას არასანქცირებული წვდომისგან.

6 თვის ვადის გასვლის შემდეგ ვიდეოჩანაწერები ავტომატურად იშლება სისტემიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შენახვა აუცილებელია ინციდენტის ან სამართლებრივი პროცესის ფარგლებში.

ვიდეოჩანაწერების გადაცემა მესამე პირებისთვის დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს (მათ შორის საბაჟო ორგანოს ან სამართალდამცავი ორგანოს) მოთხოვნის საფუძველზე.

მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმი

პირს, რომელიც შესაძლოა ფიქსირდება ვიდეოჩანაწერში, აქვს უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვოს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მიმართოს კომპანიას საკუთარი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით მოთხოვნით. კომპანია ვალდებულია აღნიშნული მოთხოვნა განიხილოს და უზრუნველყოს შესაბამისი რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად.

ვიდეომონიტორინგის განხორციელების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების საშუალებით, რომლებიც განთავსებულია ვიდეოკონტროლის ყველა ზონაში.

Annex №3

Purpose, Scope, Duration, Retention, Access, Storage/Destruction Procedure, and Data Subject Rights in Relation to Video Recording

LLC "ATU Georgia," as the operator of duty-free units at airports, conducts video monitoring within its premises to ensure security and compliance with requirements established by law. Video monitoring is carried out in accordance with the Law of Georgia on "Personal Data Protection" and other applicable legal acts.

The primary purposes of video monitoring are to fulfil duty free permit conditions and obligations prescribed by Resolution №455 of the Government of Georgia, dated 16 September 2019 and protect the company's property, ensure the safety of employees and customers, prevent and detect possible legal violations, theft, damage, or other incidents, secure operations conducted within duty-free points, and, if necessary, provide information to relevant state authorities in cases prescribed by law.

Video monitoring is conducted at duty-free points operated by the company, which are located at:

- Tbilisi Shota Rustaveli International Airport;
- Batumi Alexander Kartveli International Airport;
- Kutaisi David the Builder International Airport.

Cameras are installed in trading areas, at cash registers, at entrances and exits, and in storage and service zones.[2]

Video monitoring is continuous. The retention period for video recordings is determined in accordance with Resolution №455 of the Government of Georgia, dated 16 September 2019, "On the Approval of the Instruction on the Rules and Conditions for Issuing Licenses for Customs Warehouses and Duty-Free Points," under which the duty-free point operator is required to retain video recordings for six (6) months and, upon request, submit them to the customs authority.

Video recordings are retained for the specified period, except in cases where a specific recording is required for the investigation of an incident, legal violation, or other circumstances, in which case it may be retained until the relevant legal procedure is completed.

Access to video recordings is restricted to authorized personnel only. Recordings are stored in a secure electronic system (server) that ensures protection against unauthorized access. After the

[2] Video monitoring is not conducted in areas where the protection of an individual's private life is of particular importance, including restrooms, changing rooms, and other similar spaces.

Public

six-month retention period, video recordings are automatically deleted from the system, except in cases where retention is necessary for the purpose of an incident investigation or legal proceedings.

The transfer of video recordings to third parties is permitted only in cases established by law, including at the request of relevant state authorities, such as customs or law enforcement agencies.

Data Subject Rights

Any individual who may be recorded on video has the right, in accordance with Georgian legislation, to request information regarding the processing of their personal data. The data subject may submit a request to the company concerning the processing of their personal data. The company is obliged to review such a request and ensure appropriate action in accordance with the procedures and timelines established by Georgian law.

Information regarding the conduct of video monitoring is made available through appropriate warning signs installed in all areas under video surveillance.

Public

დანართი №3.1

ვიდეოკამერების ჩანაწერებზე წვდომის უფლებამოსილი პირები და წვდომის ფარგლები

შპს „ATU Georgia“-ში ვიდეოკამერების ჩანაწერებზე წვდომა დასაშვებია მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ვიდეომონიტორინგის სისტემის მართვასა და ინციდენტების შესწავლაში მონაწილეობის მისაღებად, შიდა აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

ვიზუალური მონაცემებზე წვდომაზე უფლებამოსილნი არიან:

1. **IT დეპარტამენტი**

IT დეპარტამენტის ხელმძღვანელს აქვს წვდომა ვიდეოჩანაწერებზე სრული მოცულობით, რაც აუცილებელია ვიდეომონიტორინგის სისტემის ტექნიკური მართვის, შენახვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ჩანაწერების ადმინისტრირებისათვის. მისი ფუნქციები მოიცავს ვიდეოკამერების ოპერირების მონიტორინგს, ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრას, მონაცემთა უსაფრთხოების კონტროლს და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას.

2. **კომპანიის მენეჯმენტი**

კომპანიის დირექტორს, შესაბამისი ფილიალის მენეჯერს და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელს (არსებობის შემთხვევაში) უფლება აქვთ წვდომაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს კონკრეტული ინციდენტი, დარღვევა, უსაფრთხოების პრობლემა ან სხვა გარემოება, რომლის შესწავლა საჭიროებს ვიდეოჩანაწერის ნახვას. მენეჯმენტის წვდომა ხდება მხოლოდ კონკრეტული შემთხვევის შესწავლისთვის, მოცულობით, რაც აუცილებელია ინციდენტის გამოსავლენად ან სამართლებრივი რეაგირებისთვის.

წვდომის წესები

- ვიდეოჩანაწერებზე წვდომა განხორციელდება დაცულ ელექტრონულ სისტემაში, უსაფრთხო და რეგულირებული პროცედურებით;
- წვდომის დროს ყველა უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაიცვას მონაცემთა კონფიდენციალურობა და გამოიყენოს ჩანაწერები მხოლოდ იმ მიზნებისთვის, რაც განსაზღვრულია დანართი №3-ში;

- ვიდეოჩანაწერის გადაცემა მესამე პირებისთვის დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მოთხოვნით.

ვიდეოკამერების ჩანაწერებზე წვდომის პროცესი კონტროლდება რეგისტრირებული სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული წვდომის დოკუმენტირებას. მონაცემთა სუბიექტის უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით, რაც უზრუნველყოფს მოთხოვნის განხორციელებას ჩანაწერებზე წვდომისა და ინფორმაციის მიღების მიზნით.

Annex №3.1

Authorized Persons and Scope of Access to Video Camera Recordings

Access to video camera recordings at LLC ATU Georgia (Company) is permitted only for individuals who are authorized to manage the video monitoring system and to participate in the investigation of incidents, in accordance with internal acts and the legislation of Georgia.
The following persons are authorized to access visual data:

1. IT Department

Head of IT Department have full access to video recordings to the extent necessary for the technical management, storage, security, and administration of the video monitoring system. His functions include monitoring the operation of video cameras, resolving technical issues, controlling data security, and fulfilling obligations established by law.

2. Company Management

The company director, the relevant branch manager and a head of security (if any) are entitled to access only in cases where there is a specific incident, violation, security issue, or other circumstance that requires review of the video recording. Management access is limited to the specific case, to the extent necessary to investigate the incident or take legal action.

Access Rules

- Access to video recordings is carried out in a secure electronic system, following safe and regulated procedures;
- During access, all authorized personnel are required to maintain data confidentiality and use the recordings solely for the purposes specified in Appendix №3;
- Transfer of video recordings to third parties is permitted only in accordance with the legislation of Georgia or at the request of the relevant state authority.

The process of accessing video camera recordings is controlled by a registered system that ensures documentation of each access. Data subject rights are protected under the legislation of Georgia, allowing for requests to access recordings and obtain information.

Public